განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
სამართალი, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
03.12.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
10.12.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ევროპის უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law) 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებულია 2014 წლის 13 დეკემბერს 269 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დგებუაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა შპს „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში“ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესის ფარგლებში. მოცემული საგანამანათლებლო პროგრამა არის 240 კრედიტის მოცულობის, რომლის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაცია.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, გაწერილია და განახლებულია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირებამ განაპირობა სასწავლო კურსებით შედგენილი სასწავლო გეგმის შეცვლა და სისტემატიზაციაში მოყვანა: პროგრამას აქვს ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, არჩევითი ბლოკები (საჯარო სამართალი, კერძო სამართალი, სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართალი) და თავისუფალი კრედიტები. აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტი ვალდებულია არჩევითი 4 (ოთხი) ბლოკიდან ერთ-ერთი მაინც გაიაროს, რითი ის, ერთგვარად, გაიღრმავებს ცოდნას. პროგრამას თან ერთვის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების რუკა, სწავლის მეთოდების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგების შეფასება და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სამართლის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 3 (სამი) დეკემბერს. ვიზიტის დრო გადანაწილებული იყო სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან შეხვედრაზე, რომელიც დღის წესრიგის სახით იქნა ასახული. ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგით განსაზღვრული პანელების მიხედვით, რომელიც დაიწყო სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრებით. ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს ადმინისტრაციის მხრიდან აღინიშნა პროგრამის ძლიერი მხარეები - ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს არსებული კონკურენცია (1/10), პრაქტიკული საგნების პროგრამაში ინტეგრირება, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის გაწერიული ტრეინინგი სწავლების თანამედროვე მეთოდებთან მიმართებით (მოწოდებული ვერბალური ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის ბოლომდე 62 პერსონალის ტრეინინგია დაგეგმილი); ასევე, აღინიშნა სასწავლო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელის დასრულების ბოლო ეტაპი, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა იქნეს ჩაბარებული დაწესებულის მიერ.

ვიზიტის დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სამართლის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, რომლის ფარგლებშიც აღიწერა პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების სრული პროცესი. კერძოდ, თვითშეფასების ჯგუფში გადანაწილდა ფუნქციები, მიმდინარეობდა ერთობლივი მუშაობა, დაიგეგმა და განხორციელდა დაინტერესებულ პირებთან შეხვედრები, საიდანაც წამოსული რეკომენდაციები პროგრამის შემუშავების დროს მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულ იქნა. თვითშეფასების ჯგუფის წევრთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, გაიწერა

პროგრამის ბიუჯეტი, გადახალისდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და რეორგანიზირდა ადმინისტრაციული პერსონალის შემადგენლობა. აღნიშნული პროცესის შედეგები თავს იყრიდა სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. აქვე აღინიშნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი რეაკრედიტაციის მომზადების პროცესში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მოვალეობის შემსრულებელი ბოლო ერთი თვის განმავლობაში შეუდგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

ვიზიტის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრას, რის ფარგლებშიც, განხილულ იქნა პროგრამის სტრუქტურა, დაშვების წინაპირობები ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის კონტექსტში, სავალდებულო ზოგიერთი საგნის ურთიერთმიმართება (მაგალითად, აკადემიური წერისა და სამართლებრივი წერის ურთიერთმიმართება), განხილულ იქნა არჩევითი ბლოკების თანწყობა და 4 (ოთხი) ასეთი ბლოკიდან ერთ-ერთის სავალდებულოობის საკითხი; განხილულ იქნა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შეფასების სქემა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის მიმდინარეობის ერთი ნაწილი დაეთმო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებას. ექსპერთა ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ იმიტირებული სასამართლო დარბაზი, საპარლამენტო დარბაზი, საკონფერენციო და სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკა, ხოლო ამ უკანასკნელის მიმოხილვის დროს, შემოწმებულ იქნა მატერიალური და ელექტორნული ბაზები და მათ სტუდენტთა თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფა.

სააკრედიტაციო ვიზიტის მომდევნო ნაწილი დაეთმო სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონათან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ პროგრამას, აკრედიტირებულ რეჟიმში ფუნქციონირებისას, 2019 წელს პირველი კურსდამთავრებული ჰყავს. კუსრდამთავრებულებთან და სტუდენტებთან დაისვა მრავალი კითხვა, რამაც ექსპერტთა ჯგუფის კიდევ უფრო ნათელი სურათი შეუქმნა სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა მათი დატვირთვა როგორც სამეცნიერო, ისე სასწავლო კუთხით, მათ შორის, საკონსულტაციო მიმართულებით.

ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა დაეთმო დამსაქმებლებთან შეხვედრას, რომლებიც პოტენციურ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ და არა უშუალოდ, არსებულ კურსდამთავრებულთა დამსაქმებელთა კატეგორიას. მათთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის სარეაკრედიტაციოდ მომზადების დროს ჩართული იყვნენ სხვადასხვა რეკომენდაციის წარდგენის ეტაპზე, რაც პროგრამაშიო სამომავლოს შეიძლებოდა ასახულიყო.

ვიზიტის დასასრულს ექსპერთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო ის ძირითადი მიგნებები, რომელის ჩამოუყალიბდა მას სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრების შედეგად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით იქნა შემოწმებული. ვიზიტისა და წარმოდგენილი თუ გამოთხოვილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად, პროგრამა სტანდარტებს, გარკვეულწილად აკმაყოფილებს. არსებობს გარკვეული

ტექნიკური თუ შინაარსობრივი შენიშვნები სხვადასხვა ქვესტანდარტთან მიმართებით, რომელიც დასკვნაში სრულიად ასახულია.

- **რეკომენდაციები**

მიზანშეწონილია, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები არა მხოლოდ დამსაქმებელთა გამოკითხვის კონტექსტში, არამედ დასაქმების ბაზრის შესწავლისა და ანალიზის მიმართულებით. ასევე, სასურველია, რომ საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს ითვალისწინებდეს.

მიზანშეწონილია, რომ სტანდარტები და მისი ქვესტანდარტები, შინაარსობრივად, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში მკაფიოდ იქნეს გამიჯნული.

სასწავლო კურსი „სანივთო სამართალი" ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში არ არის მითითებული - სახელმძღვანელო თამარ ზარანდიას ავტორობით - 2019 წელს გამოცემული "სანივთო სამართლის საფუძვლები" მეორე გამოცემა - შევსებული რედაქცია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბაკალავრო პროგრამის მიზნებისთვის სილაბუსი მოდიფიცირებულ იქნეს და დაემატოს აღნიშული სახელმძღვანელო სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 18/37-ზე. მოცემული თანაფარდობა, მიზანშეწონილია, შეიცვალოს აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ, რათა პროგრამის მდგრადობა მეტად იქნეს უზრუნველყოფილი. მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპი დაიხვეწოს, პროგრამის მდგრადობისთვის, სპეციალობის ძირითადი საათობრივი დატვირთვა უნდა გადანაწილდეს დარგობრივ აკადემიურ პერსონალზე.

მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. მიზანშეწონილია, სამართლის საბაკალავრო პროგრამაში შემუშავდეს სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების ურთიერთგამიჯვნის ერთიანი მკაფიო პოლიტიკა მათი (საბაკალავრო და სამაგისტრო) დონეების შესაბამისი სიღრმის მიხედვით, რაც არსებული დარგობრივი მახასიათებლით არის დადგენილი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის სამომავლო განვითარების მიზნით, კარგი იქნება, თუ სამიზნე ნიშნულების გაწერა პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით უფრო დეტალურად მოხდება და ის ზოგადად, პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმის ნაწილად არ იქნება მოაზრებული.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები და ინტერაქტივობები მოცემულია, თუმცა, თუ სასწავლო დაწესებულების მხრიდან შესრულებული აქტივობები აისახება კონკრეტულად ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში, ეს პროგრამას და მის განხორციელებას დადებითად წაადგება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, ზოგიერთი ქართულენოვანი არჩევით სალექციო კომპონენტს სასწავლო კურსის ალტერნატივას სთავაზობს უცხო ენაზე (ინგლისური ენა); მსგავსი მიდგომა არის ძალიან კარგი საშუალება, ინგლისური ენის უნარების განვითარების მიზნით, ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე ამ მიმართულებით სამართლის საბაკალავრო პროგრამის პოლიტიკის გატარება, შესაბამისად, აისახება სწავლის შედეგებზე. ვინაიდან პროგრამაზე უცხოენოვანი საგნებიდან დღეის მდგომარეობით, არც ერთი საგანი არ ყოფილა აქტიური, მნიშვნელოვანია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სტუდენტებს არჩევითი საგნების ნაწილში უცხოენოვანი საგანი გააააქტიურონ. ამ სტრატეგიის განვითარებით სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობისთვის, პარტნიორ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იყოს გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება.

სასურველია, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერების მიზნით უსდ-ს მიერ დაიგეგმოს და განისაზღვროს კონკრეტული სტრატეგია; ამ მიმართულებით სტუდენტებს არჩევითი საგნების კომპონენტში ინგლისურენოვანი საგნების გააქტიურების მიზნით ხელშეუწყობისთან ერთად, პარალელურად მიღწევადი გახადოს სტუდენტებისთვის საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა; ასევე, უკვე არსებული ერასმუსის პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტის მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეძლონ გაცვლით პროგრამებში დაწესებულებაში არსებული შესაძლებლობების გამოყენება და მასში აქტიურად მონაწილეობის მიღება.

საბაკალავრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, აკადემიური პერსონალი უფრო მეტად ახორციელებდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. სასურველია, პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ/წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად. ამ მხრივ, სასურველია, შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე.წ. კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ეს უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას. ამ პროცესში უნდა მონაწილეობდნენ სტუდენტებიც. პერსონალი (მათ შორის, სტუდენტებთან ერთად) სრულად იქნება კონცენტრირებული ახალი მიმართულებების კვლევაზე. ეს ფორმა ხელს შეუწყობს, სამომავლოდ, უფრო მეტად სპეციალიზირებული საგნების ჩამოყალიბებას.

სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობაზე.

სასურველია, საბაკალავრო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზების ელემენტებს ვიწრო სპეციალიზაციით.

მიზანშეწონილია, გაფორმებული მემორანდუმების ეფექტიანობისთვის, სასწავლო უნივერსიტეტმა დამსაქმებლებთან უფრო მეტად იმუშავოს, თანაბრად, საჯარო, საერთაშორისო, სისხლის ან კერძო სამართლის მიმართულების ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით. კერძოდ, (1) დამოუკიდებლად, შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციით გადაამზადოს სტუდენტები და შესთავაზოს დამსაქმებელს, მოამზადოს პრაქტიკისთვის / სტაჟირებისთვის ან (2) თავად დამსაქმებლის მოთხოვნით გაატაროს დროული, თანმიმდევრული ღონისძიებები ვიწრო სპეციალიზაციის კომპონენტის უზრუნველსაყოფად (ეს, შესაძლოა, განხორციელდეს უკვე არსებული სასწავლო კურსის სწავლების პარალელურად). ეს მიდგომა უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან პრაქტიკას / სტაჟირებას. ამ დროს, სტუდენტი დაკავდება არა მხოლოდ ვიწრო სპეციალიზაციის სწავლით, არამედ ნასწავლი ვიწრო სპეციალიზაციის იმპლემენტაციით.

სასურველია, სტუდენტმა მაქსიმალურად გამოიყენოს სასწავლო უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, რასაც, მათ შორის, უფრო მეტად უნდა უწყობდეს ხელს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი.

სასურველია, მემორანდუმების ფორმატის უფრო ეფექტიანად გამოყენება, პრაქტიკული კომპონენტი რომ გაძლიერდეს, დამსაქმებლის ინტერესი გაიზარდოს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაიზარდოს დამსაქმებლებთან ხშირი კომუნიკაცია, სასწავლო უნივერსიტეტმა რომ იცოდეს ვიწრო სპეციალიზაციის მოთხოვნა.

სასურველია, წარმოდგენილი სასწავლო კურსების უმრავლესობა უფრო მეტად უზრუნველყოფდეს უცხო ენაზე კომუნიკაციას საჯარო, საერთაშორისო, სისხლისა და კერძო სამართლის მიმართულებით. სასურველია, მათ შორის, თავად სასწავლო კურსებმა უფრო მეტად უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ სტუდენტი უფრო მეტად მოქნილი და პრაქტიკული უნარებით აღიჭურვოს, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

გაიწერა პროგრამის ბიუჯეტი, გადახალისდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და რეორგანიზირდა ადმინისტრაციული პერსონალის შემადგენლობა. ასევე, შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა, გაიწერა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შეფასების კრიტერიუმები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციას, რომელიც კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდგომ უნდა ჰქონდეს. კერძოდ, პროგრამის მიზნებია: 1) მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური იურისტი, რომელსაც ექნება ეროვნული სამართლის ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა; 2) მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც მიღებული ცოდნის საფუძველზე ექნება სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირების, გადაჭრის, შეფასების, მსჯელობის, დასაბუთების, სამართლებრივი დოკუმენტების წარმოების, სამართლის წყაროების (სამეცნიერო პუბლიკაციები, საკანონმდებლო ცვლილებები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მოძიების და იურისპრუდენციაში არსებული სიახლეების მიდევნების, დამუშავების და დასაბუთებული პოზიციის წერილობითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარი; 3) ასევე, მოამზადოს პროფესიული და ეთიკური ღირებულებების მქონე, სოციალური პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი სპეციალისტი. პროგრამის მიზნებში შესაბამისობაშია სასწავლო დაწესებულების მისიასთან. პროგრამის მიზნები, თვითშეფასების ანგარიშიდან და მასზე თანდართული დოკუმენტებიდან გამომდინარე, ნაწილობრივ ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რამდენადაც, წარმოდგენილი კვლევა სრულყოფილად ვერ ასახავს შრომის ბაზრის (რა მოთხოვნებია საჯარო და კერძო სექტორში სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირზე, როგორია სტატისტიკა. ასევე, მნიშვნელოვანია განათლების ბაზრის მიმოხილვის არსებობა, რომელიც შრომის ბაზრის ანალიზთან თანაფარდობაში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს რეალისტურთან მიაახლოვებდა) რეალურ სურათს და მეტწილად, მიმართულია საბაკალავრო პროგრამების რაოდენობასა და აქტუალობისკენ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ასევე, საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები ნაკლებად არის გაზიარებული. ბუნებრივია, შემოწმებულ იქნა პოტენციურ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები. სასურველია, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი შრომის ბაზრის

მოთხოვნები არა მხოლოდ დამსაქმებელთა გამოკითხვის კონტექსტში, არამედ დასაქმების ბაზრის შესწავლისა და ანალიზის მიმართულებით. ასევე, სასურველია, რომ საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს ითვალისწინებდეს. მოცემულ საკითხთა ანალიზის ვალდებულებას, აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის #69/ნ 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაც ითვალისწინებს. სასწავლო დაწესებულებას აქვს ინტერნაციონალიზაციისაკენ გადადგმული აქტივობები, თუმცა, სასურველია, რომ ეს აქტივობები ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში აისახოს. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში. • 2019-2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტი. • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. • ინტერნაციონალიზაციის წარმოდგენილი დოკუმენტი. • საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის #69/ნ 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • სასურველია, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები არა მხოლოდ დამსაქმებელთა გამოკითხვის კონტექსტში, არამედ დასაქმების ბაზრის შესწავლისა და ანალიზის მიმართულებით. ასევე, სასურველია, რომ საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს ითვალისწინებდეს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები და ინტერაქტივობები მოცემულია, თუმცა, თუ სასწავლო დაწესებულების მხრიდან შესრულებული აქტივობები აისახება კონკრეტულად ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში, ეს პროგრამას და მის განხორციელებას დადებითად წაადგება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია იმ ფორმატში, რასაც აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მიზნობრივი მოთხოვნები ადგენს - გადაყვანილია ე.წ. აქტიურ ზმნებში და წარმოდგენილია პროგრამის 10 (ათი) შედეგი:

I. კურსდამთავრებულს ეცოდინება სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპები; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები; თანამედროვე ეროვნული სამართლის წყაროები; ნორმის სტრუქტურა, ფუნქცია და განმარტების მეთოდები; სამართლის თეორიები.

II. კურსდამთავრებულს ეცოდინება სახელმწიფოს ცნება და ფუნქციები; სახელმწიფოს მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმები; კონსტიტუციური სამართლის ძირითადი ასპექტები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის არსი, პრინციპები და პროცესი.

III. კურსდამთავრებულს ეცოდინება კერძო სამართლის სისტემა; სამოქალაქო სამართლის მატერიალური და პროცესუალური ასპექტები; სანივთო სამართალი;

ვალდებულებითი სამართალი, მათ შორის, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; საოჯახო და საკორპორაციო სამართალი.

IV. კურსდამთავრებულს ეცოდინება სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები, დანაშაულის სახეები და კატეგორიები; მატერიალური და პროცესუალური ასპექტები; სისხლისამართლებრივი პასუხიმგებლობის არსი და სასჯელთა სახეები; სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესუალური გარანტიები.

V. კურსდამთავრებულს ეცოდინება საერთაშორისო სამართლის წყაროები, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები და ჩვეულებითი ნორმები; საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტები; საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების ეროვნულ დონეზე გამოყენების თავისებურებები; საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები, მათ შორის, წესები და პროცედურები.

VI. კურსდამთავრებულს ექნება სამართლებრივი წერისა და კვლევის უნარები; შეძლებს რელევანტური ნორმატიული ბაზის და სამართლებრივი წყაროების მოძიებას, ასევე, სამართლებრივი დოკუმენტაციის (ხელშეკრულება, საჩივარი, შუამდგომლობა) შემუშავებასა და წარდგენას კონკრეტული ფორმალურ-შინაარსობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით.

VII. დარგობრივი მიმართულების შესაბამისად, კურსდამთავრებული შეძლებს სამართლებრივი საკითხის აღქმას, მისი სხვადასხვა პერსპექტივით გააზრებას, ასევე, სამართლებრივი პრობლემატიკის გადაწყვეტისთვის თეზისების განვითარებას და არჩეული მიდგომის დასაბუთებას.

VIII. კურსდამთავრებულს ექნება კარგი პრეზენტაციის უნარები და შეძლებს რელევანტური სამართლებრივი არგუმენტების მოშველიებით საკუთარი პოზიციის ეფექტიან დაცვას. ექნება ეფექტური კომუნიკაციის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

IX. კურსდამთავრებული შეძლებს მოიძიოს სამართლის დარგში არსებული სიახლეები (საკანონმდებლო ცვლილებები, სამეცნიერო სიახლეები, პრეცედენტული სამართალი) და საუკეთესო პრაქტიკა. X. კურსდამთავრებული შეძლებს განახორციელოს პროფესიული საქმიანობა იურიდიული ეთიკის დაცვითა და პასუხისმგებლობით, იმოქმედოს კანონიერების, სამართლიანობის, თანასწორობის, ადამიანის ძირითადი უფლებების, დემოკრატიული და სამართლებრივი საზოგადოების უზენაესი ღირებულებების შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რომელიც გაზომვადი და მიღწევადია. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის საბაკალავრო დონეს, რომელიც განსაზღვრულია სამართლის 2011 წლის დარგობრივი მახასიათებელით. პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას და ფაქტობრივად, პასუხობს დასაქმების სფეროების შინაარსობრივ მოთხოვნებს.

პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში დაფიქსირებულია

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია დაინტერესებულ პირთათვის პროგრამაში ჩართული პირების მიერ სწავლის შედეგების გაცნობა. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფის კონკრეტული სწავლის შედეგის გაზომვას კონკრეტული სასწავლო კურსის ინდივიდუალური დავალების (საკითხის, თემის) საფუძველზე და ასევე, მოცემულია მონაცემთა შემოწმება, შეფასება, შეცვლის პერიოდულობა (თუმცა, სასურველია, მონაცემთა შეგროვების პერიოდიც იქნეს სამომავლოდ გათვალისწინებული). სწავლის შედეგების შეფასების მოცემული სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, რაც იძლევა სტუდენტის მიღწეული შედეგის გაზომვის საშუალებას. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. აღსანიშნავია, რომ პროგრამას თან ახლავს სწავლებისა და სწავლის მეთოდებით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა, რომელიც იძლევა ინფორმაციას თუ რომელი სწავლების ფორმ(ებ)ით ხდება პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა. პროგრამას აქვს განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც, ნაწილობრივ, სამიზნე ნიშნულის განსაზღვრის ფუნქციასაც შეიძლება ასრულებდეს. განსაზღვრულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების სქემა და მის მიმართ დადგენილია სამიზნე ნიშნული. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ფაქტობრივად, იცნობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან იღებს პროგრამის სწავლის შედეგების შედგენასა და გაზომვის უნარების გამომუშავებაში სათანადო მხარდაჭერას. მოცემული პროგრამის მიმართ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი, ამ ეტაპისათვის, არ არის შესრულებული და შესაბამისად, ის ვერ იქნებოდა გამოყენებული პროგრამის შინაარსის ან/და სწავლის შედეგების ან/და შეფასების სისტემის მოდიფიცირების კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში. • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების რუკა. • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. • სწავლებისა და სწავლის მეთოდებით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა. • სწავლის შედეგების რუკა. • სამართლის საბაკალავრო პროგრამის სამწლიანი სტრატეგიული გეგმა. • ინტერვიუს შედეგები. • გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის სამომავლო განვითარების მიზნით, კარგი იქნება, თუ სამიზნე ნიშნულების გაწერა პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით უფრო დეტალურად მოხდება და ის ზოგადად, პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმის ნაწილად არ იქნება მოაზრებული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის	√			

შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ევროპის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დამაკმაყოფილებელია - პროგრამის სპეციფიკა შეესაბამება კანონმდებლობას. პროგრამაზე სწავლა შეუძლია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში, ჩაბარებული აქვს ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნები (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ისტორია/მათემატიკა) და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაძლეული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. პროგრამა ითვალისწინებს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას: (1) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; (2) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; (3) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/ კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; (4) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ევროპის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. სხვა პირები ვალდებული არიან

გაიარონ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გასაუბრება ან/და გამოცდა პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი. პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და დაკავშირებული საკითხები ხელმისაწვდომი და განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების საჯაროობის, ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი იყენებს ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; • სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი; • ვებგვერდი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და ჯდება სამართალის საბაკალავრო პროგრამისათვის განსაზღვრული დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი მიმართულებების ლოგიკაში. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან. პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირებამ განაპირობა სასწავლო კურსებით შედგენილი სასწავლო გეგმის შეცვლა და სისტემატიზაციაში მოყვანა: პროგრამას აქვს ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, არჩევითი ბლოკები (საჯარო სამართალი, კერძო სამართალი, სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართალი) და თავისუფალი კრედიტები. აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტი ვალდებულია არჩევითი 4 (ოთხი) ბლოკიდან ერთ-ერთი მაინც გაიაროს, რითი ის, ერთგვარად, გაიღრმავებს ცოდნას. შპს "ევროპის უნივერსიტეტი"-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ, სამართლის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტი: სასწავლო კურსი, სასწავლო მოდული და სხვ. შინაარსი, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სამართლის სფეროს მიმართულებისათვის აუცილებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას. სასწავლო პროგრამის მიხედვით, კომპეტენციები აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვისა შედეგად გამოვლინდა სწავლება-სწავლის მეთოდების დახვეწის და გაუმჯობესების საჭიროება. აღნიშნული შედეგების გათვალისწინება პროგრამის ადმინისტრებაში ჩართული პერსონალის მიერ მოხდა პროგრამის ცვლილებების მზადების პროცესში. მოცემული სტანდარტი ეხება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიმართებას. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის

სწავლის შედეგებს, თუმცა, ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს დახვეწას, კერძოდ: სასწავლო კურსი - სანივთო სამართალში, ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში არ არის მითითებული - სახელმძღვანელო თამარ ზარანდიას ავტორობით - 2019 წელს გამოცემული "სანივთო სამართლის საფუძვლები" მეორე გამოცემა - შევსებული რედაქცია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბაკალავრო პროგრამის მიზნებისთვის სილაბუსი მოდიფიცირებულ იქნეს და დაემატოს აღნიშული სახელმძღვანელო სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: სასწავლო კურსი, "სანივთო სამართალი" ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში არ არის მითითებული - სახელმძღვანელო თამარ ზარანდიას ავტორობით - 2019 წელს გამოცემული "სანივთო სამართლის საფუძვლები" მეორე გამოცემა - შევსებული რედაქცია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბაკალავრო პროგრამის მიზნებისთვის სილაბუსი მოდიფიცირებულ იქნეს და დაემატოს აღნიშული სახელმძღვანელო სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ევროპის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საჯარო, საერთაშორისო, სისხლისა და კერძო სამართლის მიმართულებით ხდება სასწავლო კურსების იდენტიფიცირება, რომელთა ერთობლიობა ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს. საბაკალავრო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც აღწერილია პროგრამის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა სხვადასხვა კურსით. პროგრამის სასწავლო კურსების მოცულობა განსაზღვრულია შესაბამის კრედიტებში. მათი დაგეგმვისას და კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათები, რომელთა მოცულობა შეესაბამება სტუდენტთა სასწავლო დატვირთვასა და სწავლა-სწავლების მეთოდებს. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულია სათანადო ლიტერატურა, მათ შორის, ინგლისურენოვანი. სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული თემატიკა შესაბამისობაშია ბაკალავრიატის საფეხურთან. მისასალმებელია, პროგრამის სასწავლო კურსი დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე, თუმცა, მიზანშეწონილია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების შინაარსის დონის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. მიზანშეწონილია, შემუშავდეს სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების სწავლების დონის/სიღრმის ურთიერთგამიჯვნის ერთიანი მკაფიო პოლიტიკა. სასწავლო კურსების თემატიკა დაძლევადია. მისასალმებელია, რომ სასწავლო კურსი მოიცავს ინგლისურენოვან ელემენტებს, კერძოდ, საჯარო, საერთაშორისო, სისხლისა და კერძო სამართლის მიმართულებით სტუდენტებს აქვთ უცხოენოვანი საგნების არჩევის შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • ვებგვერდი; • სილაბუსები; • მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა;

- სწავლის მეთოდების შესაბამისობა შედეგებთან;
- სწავლის შედეგების შეფასება;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების შინაარსის დონის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. მიზანშეწონილია, შემუშავდეს სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების სწავლების დონის/სიღრმის ურთიერთგამიჯვნის ერთიანი მკაფიო პოლიტიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სტუდენტმა მაქსიმალურად გამოიყენოს უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, რასაც, მათ შორის, უფრო მეტად უნდა უწყობდეს ხელს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი.
სასურველია, მემორანდუმების ფორმატის უფრო ეფექტიანად გამოყენება, პრაქტიკული კომპონენტი რომ გაძლიერდეს, დამსაქმებლის ინტერესი გაიზარდოს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაიზარდოს დამსაქმებლებთან ხშირი კომუნიკაცია, უნივერსიტეტმა რომ იცოდეს ვიწრო სპეციალიზაციის მოთხოვნა.
სასურველია, წარმოდგენილი სასწავლო კურსების უმრავლესობა უფრო მეტად უზრუნველყოფდეს უცხო ენაზე კომუნიკაციას (საჯარო, საერთაშორისო, სისხლისა და კერძო სამართლის მიმართულებით). სასურველია, მათ შორის, თავად სასწავლო კურსებმა უფრო მეტად უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ სტუდენტი უფრო მეტად მოქნილი და პრაქტიკული უნარებით აღიჭურვოს, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებას. მისასალმებელია, რომ პროგრამა, თეორიულ საკითხებთან ერთად, ორიენტირებულია სასამართლო პრაქტიკის შესწავლაზეც. პროგრამა შეიცავს სხვადასხვა პრაქტიკულ კურსს. სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სტუდენტები მონაწილეობენ უცხოელი სპეციალისტების მიერ ჩატარებულ ტრენინგ-კურსებში. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სამართლებრივი დახმარების ცენტრი, სადაც სტუდენტები ლექტორების ზედამხედველობით იურიდიულ მომსახურებას უწევენ მოქალაქეებს. სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება ყოველწლიური საუნივერსიტეტო კონფერენცია, რომელშიც სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ. მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. მაგალითად, პროგრამა შეიცავს აკადემიური წერისა და სამართლებრივი წერის საგნებს - წერის, კვლევის, ციტირებისა და აკადემიური ნაშრომის შედგენისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. მიზანშეწონილია, ეს ორი მიმართულება მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. აკადემიური წერის სასწავლო კურსის შინაარსი მკაფიოდ არ განსაზღვრავს ჩამოთვლილი საკითხების აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) სწავლების აუცილებლობას (მით უფრო, საწყის ეტაპზე), როდესაც იგი შეიძლება აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი იყოს (სხვადასხვა სამართლის სამაგისტრო პროგრამა შეიცავს ასეთ სასწავლო კურსს). მით უფრო, საბაკალავრო პროგრამაში არაა მკაფიოდ შემუშავებული ან არ შეინიშნება სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების ურთიერთგამიჯვნის

ერთიანი პოლიტიკა. სასწავლო უნივერსიტეტი მუშაობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე - გაფორმებულია მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან. დამსაქმებელი თანამშრომლობს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს თანამშრომლობა იყო ეფექტიანი. გაფორმებული მემორანდუმების ეფექტიანობისთვის, მიზანშეწონილია, მიზანშეწონილია, სასწავლო უნივერსიტეტმა დამსაქმებლებთან უფრო მეტად იმუშავოს საჯარო, საერთაშორისო, სისხლის ან კერძო სამართლის მიმართულების ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით, ან დამოუკიდებლად, შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციით გადაამზადოს სტუდენტები და შესთავაზოს დამსაქმებელს, მოამზადოს პრაქტიკისთვის / სტაჟირებისთვის, ან თავად დამსაქმებლის მოთხოვნით გაატაროს დროული, თანმიმდევრული ღონისძიებები ვიწრო სპეციალიზაციის კომპონენტის უზრუნველსაყოფად (ეს, შესაძლოა, განხორციელდეს უკვე არსებული სასწავლო კურსის სწავლების პარალელურად), რაც უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან პრაქტიკას / სტაჟირებას. უნივერსიტეტში არსებობს პლაგიატთან ბრძოლის შესაბამისი ინსტრუმენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებგვერდი;
- სილაბუსები;
- სასწავლო გეგმა;
- სამართლებრივი დახმარების ცენტრის დებულება;
- სტუდენტური კონფერენციები;
- შესაბამისი მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) სისტემაზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. მიზანშეწონილია, სამართლის საბაკალავრო პროგრამაში შემუშავდეს სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების ურთიერთგამიჯვნის ერთიანი მკაფიო პოლიტიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საბაკალავრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა უფრო

ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, ამ მხრივ, სასურველია შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე.წ. კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ამ პროცესში უნდა მონაწილეობდნენ სტუდენტებიც. პერსონალი (მათ შორის, სტუდენტებთან ერთად) სრულად იქნება კონცენტრირებული ახალი მიმართულებების კვლევაზე. ეს ფორმა ხელს შეუწყობს, სამომავლოდ, უფრო მეტად სპეციალიზირებული საგნების ჩამოყალიბებას.

სასურველია, საბაკალავრო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზების ელემენტებს ვიწრო სპეციალიზაციით.

მიზანშეწონილია, გაფორმებული მემორანდუმების ეფექტიანობისთვის, უნივერსიტეტმა დამსაქმებლებთან უფრო მეტად იმუშავოს, თანაბრად, საჯარო, საერთაშორისო, სისხლის ან კერძო სამართლის მიმართულების ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით. კერძოდ, (1) დამოუკიდებლად, შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციით გადაამზადოს სტუდენტები და შესთავაზოს დამსაქმებელს, მოამზადოს პრაქტიკისთვის / სტაჟირებისთვის ან (2) თავად დამსაქმებლის მოთხოვნით გაატაროს დროული, თანმიმდევრული ღონისძიებები ვიწრო სპეციალიზაციის კომპონენტის უზრუნველსაყოფად (ეს, შესაძლოა, განხორციელდეს უკვე არსებული სასწავლო კურსის სწავლების პარალელურად). ეს მიდგომა უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან პრაქტიკას / სტაჟირებას. ამ დროს, სტუდენტი დაკავდება არა მხოლოდ ვიწრო სპეციალიზაციის სწავლით, არამედ ნასწავლი ვიწრო სპეციალიზაციის იმპლემენტაციით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამაში განახლებული მეთოდებით სწავლება უკვე აქტიურად ხორციელდება და სასწავლო წლის დასრულების შემდგომ მისი შემოწმების შედეგების მიხედვით, უფრო თვალნათელი იქნება მისი ეფექტურობა.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაში შემუშავებული ცვლილებების მიხედვით, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისა და სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისათვის, სასწავლო უნივერსიტეტი იცავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპს, როგორიცაა კომპეტენციების გამომუშავების ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად უსდ-ს საგანმანათლებლო პოლიტიკა ეფუძნება: სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების დანერგვასა და განხორციელებას; სწავლებისა და სწავლის კლასიკური და თანამედროვე მეთოდების კომბინირებას. კერძოდ: სწავლების კლასიკური მეთოდებიდან უპირატესობა ენიჭება ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, სოკრატისეულ მეთოდს, ვერბალური ახსნა–განმარტებითი და წერითი მუშაობის მეთოდებს; კაზუსების ამოხსნის, დემონსტრირების, კვლევისა და დამოუკიდებელი სწავლის მეთოდებს. ასევე, სწავლების ინტერაქტიული მეთოდებიდან უპირატესობა ენიჭება: ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზი (Case study), ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი და ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დემონსტრირების, ახსნა-განმარტებითი, შედარებითი ანალიზი, ნორმის ანალიზი, და სხვ მეთოდები.

უსდ ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ მოთხოვნებს, აგრეთვე საგანამანათლებლო პროცესის ყველა ეტაპზე მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველყოფას. ქმნის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობასა და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური რესურსით. სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- სწავლებისა და სწავლის მეთოდებით, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების

რუკა; • სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; • აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს "ევროპის უნივერსიტეტი"-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, არსებული ნაკლოვანებებისა და პროგრესის გზების შესახებ; რაც თავის მხრივ განაპირობებს უკუკავშირს, ამ უკუკავშირის მეშვეობით დგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მუშაობს სასწავლო პროცესი. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის. სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და ფინალურ შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. შეფასების ფორმა ითვალისწინებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისია, რაც დასტურდება სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებით, სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები დეტაულურადაა განსაზღვრული. შეფასების კრიტერიუმები მოიცავს, როგორც ზეპირი გამოკითხვის კომპონენტს, ასევე, დისკუსიის ფორმას, დებატებს, კაზუსის ამოხსნას, პრეზენტაციას. საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში გათვალისწინებული სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები სრულად შეეშაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევას. წარმოდგენილი მეთოდებით, სტუდენტების შეფასების ნაწილის დამუშავება სილაბუსებში სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ ქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა ფორმითა და რა კრიტერიუმებზე დაყრდონით მოხდება მათი შეფასება კონკრეტული აქტივობების გათვალისწინებით, საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ საგნებში. უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება. უნივერსიტეტი შეფასების შედეგებს აანალიზებს და ცდილობს მის გამოყენებას სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- სწავლებისა და სწავლის მეთოდებით, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- უსდ-ს საგამოცდო ცენტრის დებულება;
- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს "ევროპის უნივერსიტეტი"-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდა სამართლებრივი აქტებით, სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაცია, სწავლის პროცესის შესახებ, დეტალურად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული. სტუდენტი იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარირეულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა და სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი საგანი. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს მაქსიმალურად იღებს მხედველობაში.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის - სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შესრულებისთვის არსებობს შესაბამისი ელექტრონული ბაზა, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზრვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უსდ-მ დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვურული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტოირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულებამ განსაზღვრა სტრატეგია, რომლის საწყის ეტაპზე, პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისური ენის და კომპიუტერული უნარების კურსები, ინგლისურენოვანი საგნები. სწავლის შედეგები მეტწილად ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე. უსდ მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში; სალექციო ცხრილი არის მოქნილი და სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ ლექციების ჩასატარებლად მათთვის სასურველი დრო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, მათი დაფინანსების/თანადაფინანსებას, სტიენდიების გაცემას, საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ტიპის აქტივობებში მხარდაჭერას. სტუდენტები მონაწილეობენ საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს, და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს შიდა (საუნივერსიტეტო) გრანტები როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, სამეცნიერო კვლებითი პროექტების დასაფინანსებლად. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩართულია ერასმუსის პროგრამაში ასევე, პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობს, რომლის მეშვეობით, გაცვლითი აქტივობების ფარგლებში, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ღებულობენ მონაწილეობას. უსდ-ს ყავს უცხოელი სტუდენტები, რომლებსაც დაწესებულება, ქართული ენის უფასო შემსწავლელ კურსს სთავაზობს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზს, რომელიც

სამომავლოდ გამოიყენება დასახული სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულებად და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო განვითარების პროცესის უზრუნველყოფას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიარონ სტაჟირება კერძო/საჯარო სექტორში. დაწესებულებაში ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების ცენტრი - რომლის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ და განიმტკიცონ პრაქტიკაში, გამოიმუშაონ პროფესიული ეთიკის უმთავრესი უნარ-ჩვევები. პრაქტიკული კურსის განმავლობაში, სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით, შეიქმნა ზემოთხსენებული ცენტრი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები, იურიდიულ კონსულტაციას უწევენ მოქალაქეებს და სასამართლო დავებში, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით, ღებულობენ მონაწილეობას. სწავლის პარალელურად არსებობს შესაძლებლობა, სტუდენტებმა უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა ნამდვილი საქმეების განხილვასა და გაძღოლაში, მათ შორის მოამზადონ იურიდიული დოკუმენტები და მონაწილეობა მიიღონ სასამართლო პორცესებში ხელმძღვანელი პირის მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის საბაკალავრო პროგრამა; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; • უსდ-ს ბიუჯეტი; • მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან; • აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, ზოგიერთი ქართულენოვანი არჩევით სალექციო კომპონენტის სასწავლო კურსის ალტერნატივად სთავაზობს უცხო ენაზე (ინგლისური ენა); მსგავსი მიდგომა არის ძალიან კარგი საშუალება, ინგლისური ენის უნარების განვითარების მიზნით, ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე ამ მიმართულებით სამართლის საბაკალავრო პროგრამის პოლიტიკის გატარება, შესაბამისად აისახება სწავლის შედეგებზე. ვინაიდან უცხოენოვანი საგნებიდან დღეის მდგომარეობით, არც ერთი საგანი არ ყოფილა აქტიური, მნიშვნელოვანია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სტუდენტებს არჩევითი საგნების ნაწილში უცხოენოვანი საგანი გააააქტიურონ. ამ სტრატეგიის განვითარებით სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობისთვის, პარტნიორ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იყოს გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება; სასურველია, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერების მიზნით უსდ-ს მიერ დაიგეგმოს და განისაზღვროს კონკრეტული სტრატეგია; ამ მიმართულებით სტუდენტებს არჩევითი საგნების კომპონენტში ინგლისურენოვანი საგნების გააქტიურების მიზნით ხელშეუწყობისთან ერთად, პარალელურად მიღწევადი გახადოს სტუდენტებისთვის საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა; ასევე, უკვე არსებული ერასმუსის პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტის მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეძლონ გაცვლით პროგრამებში დაწესებულებაში არსებული შესაძლებლობების გამოყენება და მასში აქტიურად მონაწილეობის მიღება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **არ ფასდება.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ევროპის უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში - უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 55 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აქედან - 18 აკადემიური პერსონალი (პროფესორი - 6 ; ასოცირებული პროფესორი - 9, ასისტენტ პროფესორი - 2, ასისტენტი - 1) და 37 მოწვეული პერსონალი. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან, 50 მათგანი არის სამართლის დარგის სპეციალისტი, რომლებიც

სპეციალობის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს უძღვებიან, ხოლო დანარჩენი 5 - პროგრამით გათვალისწინებულ ზოგად სავალდებულო კურსებს უძღვება. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება სტანდარტებს. აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული კვლევით საქმიანობაში, რაც დასტურდება მოწოდებული დოკუმენტაციით. მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისთვის თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 18/37-ზე. მოცემული თანაფარდობა, სასურველია, შეიცვალოს აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ, რათა პროგრამის მდგრადობა მეტად იქნეს უზრუნველყოფილი, კერძოდ კი, აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპი, უნდა დაიხვეწოს, პროგრამის მდგრადობისთვის, მნიშვნელოვანია ძირითადი საათობრივი დატვირთვა აკადემიურ პერსონალზე გადანაწილდეს. აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან გასაუბრების შემდეგ დგინდება, რომ სემესტრულად ხდება სილაბუსების დამუშავება ხარისხის სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე. აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სტუდენტის კონსულტირების პროცესში. ადმინისტრაციის და პერსონალის განმარტებით ყოველკვირეულად სპეციალური დრო არის გამოყოფილი ამისთვის, ხოლო სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დამატებით ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ ლექტორებს და მიიღონ საჭირო ინფორმაცია. პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი აქტიურად არიან ჩართული პროგრამის შემუშავებაში, ისინი დეტალურად ფლობენ ინფორმაციას პროგრამის მიმდინარეობის შესახებ, გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის სამართლის მაგისტრი, ხოლო, პროგრამის თანახელმძღვანელი - სამართლის დოქტორი, მიზანშეწონილი შეიძლება იყოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსი უფრო მაღალი აკადემიური თანამდებობის იყოს, ვიდრე ეს ახლა არის. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციის თანამშრომლები შესაბამისი კვალიფიკაციის მქონენი არიან, იმართება რეგულარული შეხვედრები, ხდება სტუდენტებთან უშუალო კონტაქტის უზრუნვლყოფა, მათი გამოკითხვა, რათა შესაბამისი უკუკავშირი მოხდეს. საბაკალავრო პროგრამისთვის გათვალისწინებულია კონკრეტული კოორდინატორი, რომელსაც უშუალოდ კავშირი აქვს სტუდენტებტან, ამასთან, მათ მიეწოდებათ სხვადასხვა ინფორმაცია ტექნიკურ და სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში - თანდართული

დოკუმენტაციით; • სამართლის საბაკალავრო პროგრამა; • ადაკემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის რეზიუმე; • სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; • საშტატო განრიგი; პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: სამართლის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 18/37-ზე. მოცემული თანაფარდობა, სასურველია, შეიცვალოს აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ, რათა პროგრამის მდგრადობა მეტად იქნეს უზრუნველყოფილი. მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპი დაიხვეწოს, პროგრამის მდგრადობისთვის, ძირითადი საათობრივი დატვირთვა უნდა გადანაწილდეს აკადემიურ პერსონალზე. მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსი უფრო მაღალი აკადემიური თანამდებობის იყოს, ვიდრე ეს ახლა არის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას. უნივერსიტეტი ცდილობს წაახალისოს მათი პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები, კონფერენციებში მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება. მათ შორის, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ღონისძიებებში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, დაინტერესების შემთხვევაში, ლექტორების მონაწილეობას სამეცნიერო და აკადემიურ ღონისძიებებში. მათ შორის, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება: კონფერენციები, სემინარები, ვორკშოპები, საჯარო ლექციები, ტრენინგები, რომლებიც ემსახურება პროფესიული ან/და სწავლების უნარის განვითარებას. მისასალმებელია უნივერსიტეტის მიერ კვლევითი აქტივობების დაფინანსების სისტემის დანერგვა, რომლითაც დაწესებულება წაახალისებს თავის პერსონალს აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს, იკვლიონ, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში. სასწავლო უნივერსიტეტი აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. პედაგოგიური საქმიანობის შეფასება ხორციელდება სემესტრულად, ხოლო კვლევითი საქმიანობის-წლიურად. ხდება პერსონალის სააუდიტორიო მუშაობის შეფასება სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული პირების განვითარების, საჭიროებების იდენტიფიცირების, კოლეგებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მისასალმებელია, რომ ევროპის უნივერსიტეტში პერსონალის სისტემატური პროფესიული გადამზადებისა და თანამედროვე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების დანერგვის მიზნით, დაფუძნდა სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ-ცენტრი. ფაკულტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. აგრეთვე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ახალი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი.

უცხოელი ტრენერების მიერ გადამზადდა უნივერსიტეტის პერსონალი. ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტი მუშაობს პერსონალის გადამზადების კურსებზე. ცენტრის ფარგლებში უკვე გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში, პერსონალი მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში საზღვარგარეთ. უნივერსიტეტი აფასებს პერსონალის სამეცნიერო-კვლევით და აკადემიურ საქმიანობას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის როგორც სასწავლო, ასევე კველვითი საქმიანობის შეფასებას, რისთვისაც ახდენს ლექციებზე დასწრებას, აფასებს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს და სასწავლო და კვლევითი პროცესის მიმდინარეობას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი; • ფაკულტეტის დაფინანსებული პროექტები; • პერსონალის სამეცნიერო კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი; • გამოკითხივს შედეგები; • პროგრამის განვითარების დოკუმენტაცია; • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საბაკალავრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, აკადემიური პერსონალი უფრო მეტად ახორციელებდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. სასურველია, პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ/წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად. ამ მხრივ, სასურველია, შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე.წ. კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ეს უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას. სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის

სამეცნიერო აქტივობაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ევროპის უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში - უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამართულია, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და აპარატურით, აუდიტორიები კარგ მდგომარეობაშია და შექმნილია კომფორტული გარემო სწავლისათვის. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის - სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შესრულებისთვის არსებობს შესაბამისი ელექტრონული ბაზა, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს, სასწავლო

პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზრვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსი მრავალფეროვანია, უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც ყველა სტუდენტს შეუზღუდავი წვდომა აქვს. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსები: EBSCO; eLFL. აღნიშნულ ბაზებზე სრული წვდომა ეხმარება სტუდენტებს მაქსიმალურად აითვისონ, უცხოენოვანი უახლესი წყაროები და აქტიურად გამოიყენონ ისინი სწავლის პროცესის განმავლობაში. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცის შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობა. მიმდინარეობს საბიბლიოთკო ელექტრონული რესურსების გამოყენების შესახებ სტატისტიკის წარმოება, როგორც სტუდენტების ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი რომელიც ძალიან მოქნილია, ბიბლიოთეკაში წიგნად ფონდთან შემხებლობა სტუდენტებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომია. წიგნების განაწილებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის თანამშრომელი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას ასევე აქვს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სრულ რესურსზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გაცნობისა და გამოყენების შესაძლებლობით და გააჩნია ელექტრონული წიგნების ფონდი. ასევე აქვს, უახლესი მოდელის პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, იმიტირებული პარლამენტის სასესიო დარბაზი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი აუდიტორიები და სამუშაო სივრცები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი; • მემორენდუმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; • აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ევროპის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. პროგრამისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, ეკონომიკურად მიღწევადია. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები მხარდაჭერილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის შემოსავლებით. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ უნივერსტიტეტის ადმინისტრაცია ფინანსურად მხარს უჭერს სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების განხორციელების პროცესში. შიდა ხარისხის სამსახური მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ პრინციპით. ამ პროცესში სრულდება პროგრამისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესის შეფასება, რომელიც თვითშეფასების ფორმატშიც გამოიხატება, რის საფუძველზეც, ინსტიტუციაში გამოიკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები. მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით პროგრამაში შედის კონკრეტული სახის ცვლილებები (ზუსტდება სწავლის შედეგები და მასზე გამვსლელ სასწავლო კურსებით ფორმირებული საგანთა ბადე).
პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. ასევე, შესრულებულია სტუდენტების გამოკითხვა. წარმოდგენილია გამოკითხვის ფორმები.
აქვე უნდა ითქვას, რომ სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან შეხვედრისას აღინიშნა მათი ჩართულობა პროგრამის განვითარების კუთხით და გამოკითხვებში მონაწილეობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- კომიტეტის შექმნის ბრძანება.
- კომიტეტის შეხვედრების ამსახველი ოქმები.
- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები.
- გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის 2014 წლის აკრედიტაციის შემდგომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა და აისახა პროგრამასა და მის შემადგენელ სილაბუსებში. აგრეთვე, თვითშეფასების თანახმად, სამართლის საბაკალავრო პროგრამა გარე შეფასების მიზნით გადაეცა დარგში დასაქმებულ სპეციალისტებს, რომელთა შორის, ძირითადად, მოაზრებულია დამსაქმებლები და დასაქმებულები, რომელთა რეკომენდაციებიც იქნა გათვალისწინებული. თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის გარე ხარისხის შეფასება აკრედიტაციის პროცესს გულისხმობს, ხოლო დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგები მოიაზრება აკრედიტაციის არა 5.2 სტანდარტში, არამედ - 5.3. სტანდარში. სასურველია, სტანდარტები და მისი ქვესტანდარტები, შინაარსობრივად, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის

პროცესში მკაფიოდ იქნეს გამიჯნული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში. • აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის გადაწყვეტილება. • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: სასურველია, სტანდარტები და მისი ქვესტანდარტები, შინაარსობრივად, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში მკაფიოდ იქნეს გამიჯნული.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური,

სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და ზოგადად, პროგრამის მონიტორინგის მიზნით გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. აღსანიშნავია, რომ პროგრამას თან ახლავს სწავლებისა და სწავლის მეთოდებით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა. პროგრამის მონიტორინგის მიზნით, განხორციელებულია კურსდამთავრებულთა, პოტენციურ დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, რომლის შედეგები, სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, გამოყენებულ იქნა პროგრამის განვითარების მიზნით. პროგრამის გარე შეფასების მიზნით, არ ყოფილა განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება გამოყენებული. მიუხედავად იმის, რომ პროგრამის ფარგლებში არ ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე, უნდა აღინიშნოს, რომ საკონკურსო პირობებით და ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, რომ კონკურსანტი, რომელსაც არ აქვს სალექციო გამოცდილება, ვალდებულია საჩვენებელი ლექცია ჩაატაროს. სტუდენტებთან ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ ისინი ადმინისტრაციისაგან იღებენ სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარსაც, სადაც აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას. თვითშეფასების ანგარიშსა და წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია უცხოური უნივერსიტეტების პროგრამებთან მოცემული პროგრამის დადარების შედეგები. ასევე, შესრულებულია საქართველოს ორი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამასთან და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში. • გამოკითხვის ფორმები. • გამოკითხვის შედეგები. • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართალი, ბაკალავრიატი
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა



გიორგი მახარობლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიორგი დგებუაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

თათია უბერი